

ზურაბ სანადირაძე

ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუნიის
ასისტენტ-პროფესორი

ქართული ენის სწავლების ასპექტები – მეორე ენა და სახელმწიფო ენის როლი თანამედროვე პირობებში (ენა, როგორც ხიდი კულტურებს შორის)

ანოტაცია

ნაშრომი მიზნად ისახავს ქართული ენის, როგორც მეორე ენის (L2), სწავლებისას არსებული სპეციფიკური ლინგვისტური გამოწვევების ანალიზსა და მათი დაძლევის ეფექტური პედაგოგიური სტრატეგიების შეთავაზებას.

განხილულია ქართული ენის სწავლების ძირითადი ლინგვისტური და მეთოდოლოგიური ასპექტები უცხოელთათვის. ყურადღება გამახვილებულია ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ სირთულეებზე, რომლებიც სწავლების პროცესში განსაკუთრებით აქტუალურია არაქართულენოვანი მსმენელებისთვის: ქართული ზმნური სისტემის მრავალპირიანობა, სერიები და ბრუნვის კომპლექსური ფუნქციები. გაანალიზებულია მეორე ენის სწავლების თეორიული საფუძვლები, ენობრივი ინტერფერენციის როლი და კომუნიკაციური მიდგომის მნიშვნელობა. ნაშრომში ხაზგასმულია კულტურული კომპონენტის ინტეგრირების აუცილებლობა, როგორც ენის ეფექტური ათვისების წინაპირობა.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ენა, ქართული, როგორც მეორე ენა (L2), ლინგვოდიდაქტიკა, მრავალპირიანობა. ქართული, როგორც მეორე ენა; უცხოელთათვის ქართული ენის სწავლება; ფონეტიკა; გრამატიკა; კომუნიკაციური მიდგომა; ენა და კულტურა.

ქართული ენის სწავლების ასპექტები – მეორე ენა და სახელმწიფო ენის როლი თანამედროვე პირობებში (ენა, როგორც ხიდი კულტურებს შორის)

შესავალი

ქართული ენის, როგორც უნიკალური კავკასიური ენის, მეორე ენად სწავლება, თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ხოლო უცხოელებში კი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. გლობალიზაციის პროცესში, საქართველოს კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობები უცხოეთთან იზრდება, შესაბამისად, იზრდება მოთხოვნა ქართული ენის შესწავლაზე. ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ენის სწავლების მეთოდოლოგიის განვითარება, არამედ მისი ფსიქოლოგიური, სოციალური და კულტურული ასპექტების გააზრება.

ქართული ენის სწავლება არ არის მხოლოდ ლინგვისტური პროცესი — ეს არის კულტურული დიალოგი, სადაც ენა ხდება ხიდი სხვადასხვა სამყაროს შორის. როგორც ცნობილია, „ენის სწავლა არის კულტურის სწავლა“ (Brown, 2007), ამიტომ ქართული ენის სწავლებისას უცხოელი სტუდენტები/დაინტერესებული პირები ერთდროულად ეცნობიან საქართველოს ისტორიას, ტრადიციებსა და მის ყოველდღიურობას.

მეორე ენის შესწავლის მოდელ(ებ)ი: სტივენ კრამშენის თეორია (Krashen, 1982) „Input

Hypothesis“ ხაზს უსვამს, რომ ენის ათვისება ხდება ბუნებრივი კომუნიკაციის გზით. ქართულში ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ენის რთული გრამატიკული სისტემა ხშირად მოითხოვს „ცოცხალ“ მაგალითებს. კომუნიკაციური მიდგომა: „სწავლა უნდა იყოს საუბარი და არა მხოლოდ წერა“ — ეს პრინციპი განსაკუთრებით ეფექტურია ქართულში, სადაც ყოველდღიური დიალოგები ენის უკეთ ათვისებისთვის ბუნებრივ გარემოს ქმნის.

მეორე ენის სწავლების თეორია ეფუძნება ფსიქოლინგვისტურ და სოციოლინგვისტურ მიდგომებს, რომელთა თანახმად, ენის ათვისება დამოკიდებულია, როგორც ინდივიდუალურ კოგნიტიურ მექანიზმებზე, ისე სოციალურ გარემოზე. ქართული ენის შემთხვევაში, მეორე ენის სტატუსი გულისხმობს იმას, რომ ენის შესწავლის მსურველს უკვე აქვს ჩამოყალიბებული ერთი ან რამდენიმე ენობრივი სისტემა, რომელთა გავლენაც ამკარად აისახება ქართული ენის ათვისების პროცესზე. უცხოელთათვის ქართული ენის სწავლებისას მნიშვნელოვანია ენობრივი ინტერფერენციის გათვალისწინება. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ფონეტიკურ და მორფოსინტაქსურ დონეზე არსებული სირთულეები, რაც განპირობებულია ქართული ენის აგლუტინაციური და ნაწილობრივ პოლისინთეზური ბუნებით.

ქართული, როგორც სახელმწიფო ენა თანამედროვე პირობებში: ქართული ენა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია სახელმწიფო ენად, რაც მას განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებს. სახელმწიფო ენის ფუნქცია მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება არ არის — იგი წარმოადგენს ეროვნული იდენტობის, კულტურული მემკვიდრეობისა და სახელმწიფოებრივი ერთიანობის საფუძველს. ქართულს, როგორც სახელმწიფო ენას, კონსტიტუცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს: იგი არა მხოლოდ ეროვნული იდენტობის სიმბოლოა, არამედ სამართლებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველიცაა.

ბაკალავრიატის საფეხურის ყველა სპეციალობაზე: ბოლო წლებში საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებულია მოთხოვნა, რომ ყველა სტუდენტმა, მიუხედავად სპეციალობისა, გაიაროს ქართული ენის სწავლების კურსი. ეს გადაწყვეტილება ხაზს უსვამს ენის მნიშვნელობას, როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ კონტექსტში. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს საზოგადოებრივ ინტეგრაციას — უცხოელი სტუდენტები, რომლებიც საქართველოში სწავლობენ, ვალდებული არიან შეისწავლონ ქართული ენა, რათა შეძლონ სრულფასოვანი მონაწილეობა სასწავლო პროცესსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თავის მხრივ, ქართული ენის შესწავლა დამატებით უზრუნველყოფს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის უმტკივნეულო ინტეგრაციას ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში.

კულტურული დიპლომატია: ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს კულტურისა და იდენტობის მთავარი წარმომადგენელია.

სამართლებრივი და ადმინისტრაციული ფუნქცია: სახელმწიფო დოკუმენტაცია, სამართლებრივი აქტები და ადმინისტრაციული პროცედურები სრულდება სახელმწიფო (ქართულ) ენაზე, რაც კიდევ უფრო ამყარებს ენის სტატუსს და საჭიროს ხდის მის შესწავლას.

ენობრივი პოლიტიკა: სახელმწიფო ენის სწავლება უნდა იყოს არა მხოლოდ ფორმალური მოთხოვნა, არამედ რეალური შესაძლებლობა სტუდენტებისთვის, რათა მათ შეძლონ პროფესიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობა.

გლობალიზაციის პირობები: მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური და სხვა საერთაშორისო ენები დომინირებენ, ქართულს, როგორც სახელმწიფო ენას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის შიგნით — იგი არის ეროვნული ერთიანობის გარანტი. მეორე ენის სწავლების თეორია ეფუძნება ფსიქოლინგვისტურ და სოციოლინგვისტურ მიდგომებს, რომელთა თანახმად, ენის ათვისება დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ კოგნიტიურ მექანიზმებზე, ისე სო-

ციალურ გარემოზე. ქართული ენის შემთხვევაში, მეორე ენის სტატუსი გულისხმობს იმას, რომ მსმენელს უკვე აქვს ჩამოყალიბებული ერთი ან რამდენიმე ენობრივი სისტემა, რომელთა გავლენაც აშკარად აისახება ქართული ენის ათვისების პროცესზე.

უცხოელთათვის ქართული ენის სწავლებისას მნიშვნელოვანია ენობრივი ინტერფერენციის გათვალისწინება. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ფონეტიკურ და მორფოსინტაქსურ დონეზე არსებული სირთულეები, რაც განპირობებულია ქართული ენის აგლუტინაციური და ნაწილობრივ პოლისინთეზური ბუნებით. თანამედროვე მეთოდოლოგიაში წამყვან ადგილს იკავებს კომუნიკაციური მიდგომა, რომლის მიზანია არა მხოლოდ გრამატიკულად სწორი, არამედ ფუნქციურად ეფექტური მეტყველების ჩამოყალიბება. ქართული ენის სწავლებისას ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ენა მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნულ კულტურასთან, ტრადიციებსა და კომუნიკაციურ ეტიკეტთან.

ქართული ენის სწავლებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია სხვადასხვა მომენტი:

კულტურული კონტექსტი

ენის სწავლა ვერ იქნება სრულფასოვანი კულტურის გარეშე. აი, მაგალითად, სიტყვა „სუფრა“ ქართულში მხოლოდ „მაგიდას“ არ ნიშნავს — იგი კულტურულ ტრადიციასაც, ღვინის პროცესსაც მოიცავს. სასწავლო პროცესში სასარგებლოა მრავალფეროვანი ტექსტების, სიმღერების, ანდაზებისა და ზღაპრების გამოყენება, რაც ენის ათვისებას უფრო ბუნებრივს და კომფორტულს ხდის. კულტურული კომპონენტის ინტეგრირება სასწავლო პროცესში ზრდის მოტივაციას და ამარტივებს ენის პრაქტიკულ გამოყენებას. ავთენტიკური ტექსტები, ფოლკლორული ნიმუშები და ყოველდღიური მეტყველების მაგალითები ხელს უწყობს ენის ცოცხალი ფუნქციონირების გააზრებას.

ფსიქოლოგიური ფაქტორი

უცხოელ სტუდენტებს/ენის შესწავლის მსურველებს ხშირად აქვთ ე.წ. „ენის შიში“ — ემინი-ათ შეცდომების დაშვების. ამიტომ მნიშვნელოვანია მხარდამჭერი გარემო, სადაც შეცდომა აღიქმება, როგორც სწავლის ნაწილი და არა, როგორც გადაულახავი პრობლემა.

ფონეტიკური სირთულეები

ქართული ანბანი უნიკალურია და შეიცავს ისეთ ბგერებს, რომლებიც უცხოელთათვის რთულად წარმოსათქმელია (მაგ., ejective – „მკვეთრი ბგერები“ – ბგერები: „კ“, „პ“, „ტ“). აქ მნიშვნელოვანია ფონეტიკური სავარჯიშოები და აუდიომასალები, რათა ენის შესწავლის მსურველებმა შეძლონ თავისებურ ბგერათა სწორად წარმოთქმა. ფონეტიკური უნარების განვითარებისთვის ეფექტურად ითვლება სმენითი ვარჯიშები, იმიტაციური მეთოდი და მინიმალური წყვილების გამოყენება. ასევე რეკომენდებულია ფონეტიკური ტრანსკრიპციის ეტაპობრივი დაწერვა, რაც მსმენელს დაეხმარება ბგერათა განსხვავებების გააზრებაში.

ლექსიკური მარაგის განვითარება

ლექსიკის სწავლება ქართულისა, როგორც მეორე ენის კურსში, უნდა ეფუძნებოდეს თემატურ და სემანტიკურ პრინციპებს. მნიშვნელოვანია მაღალი სიხშირის სიტყვების შერჩევა, რომლებიც

უზრუნველყოფს საწყის ეტაპზე კომუნიკაციურ მინიმუმს. ამასთანავე, ყურადღება უნდა მიექცეს კულტურულად მარკირებულ ლექსიკას, რომელიც ენისა და კულტურის ურთიერთკავშირს წარმოაჩენს.

ლექსიკური უნარების განვითარებაში ეფექტურია ვიზუალური მასალის, დიალოგებისა და ტექსტებზე დაფუძნებული დავალებების გამოყენება. კონტექსტში წარმოდგენილი ლექსიკა უკეთ ინახება გრძელვადიან მეხსიერებაში და ამცირებს ან სრულად გამორიცხავს მექანიკური დაზეპირების საჭიროებას.

დასკვნა

სახელმწიფო (ქართული) ენის სწავლება უცხოელთათვის/ნებისმიერი მსურველისთვის მრავალმხრივი და კომპლექსური პროცესია, რომელიც მოითხოვს ლინგვისტური თავისებურებების, მსმენელთა ენობრივი გამოცდილებისა და თანამედროვე მეთოდოლოგიური მიდგომების ერთობლივ გათვალისწინებას. ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური სირთულეების დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ სისტემური და კომუნიკაციაზე ორიენტირებული სწორი სწავლების გზით. აღნიშნული მიდგომები ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ქართული ენის წარმატებულ ათვისებას, არამედ ქართული კულტურისა და იდენტობის უკეთ გაცნობას უცხოელი მსმენელების მიერ, რაც თავის მხრივ კულტურათა დაახლოების ხელშემწყობი ფაქტორია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამყრელიძე, თამაზ. ქართველური ენების სტრუქტურული ტიპოლოგია. თბილისი: მეცნიერება, 1979.
2. კიკნაძე, რუსუდან. ქართული ენის სწავლების პრაქტიკული საკითხები უცხოელთათვის. თბილისი: უნივერსალი, 2016.
3. საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
4. Brown, H. D. (2007). *Principles of Language Learning and Teaching*. Pearson Education.
5. Krashen, S. D. (1985). *The Input Hypothesis: Issues and Implications*. Longman.
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2022). სახელმწიფო ენის პოლიტიკის სტრატეგია.
7. Richards, J. C., & Rodgers, T. S. (2014). *Approaches and Methods in Language Teaching*. Cambridge University Press.
8. UNESCO. (2019). *Language and Multilingualism in Education: Policy and Practice*.
9. შანიძე, აკაკი. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი: მეცნიერება, 1980.
10. ჩიქობავა, არნოლდ. ზოგადი ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1963.
11. ქუთათელაძე, ლია. ქართული, როგორც მეორე ენა: სწავლების მეთოდოლოგია. თბილისი: განათლება, 2012.